# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 188 — სამშაბათი, 25 აგვისტო 1909 წ. — № 188

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. რედაქცია იტოვებს უფლებას მცირე წერილებს და კორესპონდენციებს შეუცვალოს გამოთქმა. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


ქვრივი ნინო ლევანის ასული, ტრიფონ გიორგის ძე, ალექსანდრე დიმიტრის ძე, კონსტანტინე ტრიფონის ძე, პასო ტრიფონის ასული გუგუშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, მეორე—ძმის დანარჩენნი—ბიძის პოლკოვნიკის

## მელიტონ გიორგის ძის გუგუშვილისას.

განსვენებული გარდაიცვალა ქუთაისის გუბ. სოფ. ეწერაში. გამოსვენება ხუთშაბათს, 27 აგვისტოს, ეწერის ამაღლების ეკლესიაში. მახლობელი სადგური აბაშა. (2—კვ.—2)

კნეინა ნატალია როსტომის ასული აგიაშვილისა, კნეინა ქეთევან როსტომის ასული და თავ. პლატონ როსტომის ძე აბაშიძეები, თავ. ლევან წესტორის ძე აბაშიძე და მეუღლე მისი კნ. ეფროსინე ნიკოლოზის ასული აბაშიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი სამი—ძვირფას ძმის, ხოლო დანარჩენნი—ბიძის

## თავ. ვარდენ (იგივე დავით) როსტომის ძის აბაშიძისას.

წასვენება დანიშნულია სამშაბათს, 25 აგვისტოს, და ყვირილიდან, ჯაფარიძის სასტუმროდან, დილის 10 საათზე. ს. თუსში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 27 აგვისტოს, წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—კვ.—1)

ბესარიონ კონსტანტინეს ძე და ღესპინე სიმონის ასული ლომინაძენი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასის შვილის

## კოწიასას

ქუთაისის ვაჟების გიმნაზიის 7-დე კლასის მოწაფისას. გამოსვენება 26 აგვისტოს ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, კაზაკოვის ქუჩა, № 25.


სახალხო განათლების სამინისტროს უწყების ქვეშ მყოფი 7 კლასიანი 1 ხარისხის კერძო სასწავლებელი

## ლევანდოვსკებისა

ტფილისი, ანასტასიას ქ. N 14, ტელეფ. N 804.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოწაფეთა საზაფხულო მუშაობის შემოწმება 1-დან 5 სექტემბრამდე.

მიიღებიან ბავშვები საზაფხულო ბაღში, მოსამზადებელ განყოფილებებში, 1, 2 და 3 კლასებში 15 აგვისტოდან ყოველ დღე, დილით 10—2 ს. საღამოთი 5—6 ს.

ახლად შესაფერებელ მოწაფეთა გამოცდა მოხდება 2 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე. (3—ნასკ.—3)

მხოლოდ 8 დღით

## ნ. ი. კუნდურის

მაღაზიაში

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლი.

## დაკლებულის ფასით

ქალის სავალი.

ჩულქები, წინდები, შალისა და აბრეშუმის იუბკები. (3—ხალ.—3)

ფასები შეუდარებლად

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომლის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—49)

ექიმი გ. მაზაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—16)

ექიმი კ. თ. ტუეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნაზე, სიფილისი, ხაშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—45)

ექიმი ქ. ქუთაისში. მ. დ. ბედიამოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სნით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (5—33.—2)

ექიმი კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—9)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბლაბურის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—233)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვორონცოვის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 696.

ი. გ. ფელდლოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. დამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—140)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

პრლუტინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—83)

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კირპიჩნი, N 8. (უ)

ექიმი მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გაეცემა ხუხინიძის ნომრებში. სნადილებს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—41—3)

ქ. ქუთაისში,

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—12)

ნაფიცი ვექილი

## ნიკო ელიავა

გადავიდა ოლღინსკის ქუჩაზე, № 47. (3—416—3)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

გიორგი მიხეილის ძის ჩიჯაძისა

ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით (10—6.—2)

მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის სკოლის

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. შესანახი ფასი პანსიონში, საბჭოს დადგენილებით, წელიწადში არის თორმეტი (120 მ.) თუმანი; ხოლო პირველს წელიწადს პირველი მოსამზადებელი—ორი თუმანი (20 მ.) უფასოდ არავინ არ იქმნება მიღებული არც პანსიონში და არც გარედან მოსიარულე. ვინც უკვე მიღებული იყო ნაკლებ ფასში, თუ არ შემოიტანს ზემო-აღნიშნულს ფასს, თორმეტ თუმანს, დათხოვნილი იქნება პანსიონიდან. გარედან მოსიარულე მოწაფე იხდის სწავლის ფასს წელიწადში 25 მან. თავმჯდომ. საბჭოსი წინამძღვარი მონასტრისა მონაზონი ნინო. (6—415—3)

## იყიდება

იაფად საგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოდოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს. (50—6.—24)

## საჭიროა გამოცდილი მასწავლებელი

გერმანულ და ლათინურ ენებისთვის მიხაილოვის კერძო პროგიმნაზიაში. ჯამაგირი 900—1200 მ. მსურველნი უნდა მიმართონ მიხაილოვში სამზრუნველო საბჭოს. (2—421—1)

## ქართველ ქალთა სათ.-აზნაურო სკოლის

საპანსიო და მოსამზადებელ განყოფილებებში მოწაფეების მისაღები გამოცდა დაიწყება 26-ს აგვისტოს დილის 9 საათზე. (3—6.—3)

ქუთაისში

ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. დ. მიქელაძისა

## გადავიდა

თავ. ნიჟარაძის სახლში ტფილისის ქ., ოლღინსკის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 სექტემბრიდან.

სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას, ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე შეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის მეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—კვ.—6)


## დეპეშები

(პეტ. რუს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23—24 აგვისტო

### სპარსეთი

**თეირანი**. გამოქვეყნებულ ამნისტიაში, სხვათა შორის, ნათქვამია: დავაჩქარებთ დაპატიმრებულთა საქმეების გარჩევას; სასტიკად დაისჯება ის, ვინც ახალ წეს-წყობილების წინააღმდეგ წავა, ამნისტიის საბუთით ვერავინ ვერ აიცილებს თავიდან ფულის გადახდას ხაზინის სასარგებლოდთ. ამასთან ამნისტიის ძალით 16 კაცს გადაასახლებენ. ამნისტია ხალხზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციას ყოველნაირად შეუძლიან გაიგოს ამნისტიის შინაარსი.

**კაზვინი**. ურმიის ქურთების საქმე მშვიდობიანად გათავდა. ქურთების მეთაურმა ველერხან-ბეკმა ბოდიში მოიხადა რუსეთის ვიცე-კონსულის წინაშე. ქურთებმა დააბრუნეს გატაცებული ცხენები.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში არდებილიდან თავრიზში რამდენიმე ქარავანი წავიდა, სულ 500 აქლემი. ქარავნებმა თან წაიღეს რუსეთის საქონელი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი**. ბრუსიდან დაბრუნდა სულთანი. მცხოვრებლები აღტაცებით მიეგებნენ.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი**. დღეს, 24 აგვისტოს, ზოგიერთ სამრეწველოებში მუშაობა განახლდა. სტამბის მუშების კავშირმა თავის წევრებს ჯერჯერობით მუშაობა აუკრძალა.

### საზღვარ-გარედ.

**პრაგა**. გერმანელებმა იდღესასწაულეს ტევტობურგის ბრძოლის დღე. გაზეთების სიტყვით დღესასწაულს წმინდა ეროვნული ხასიათი ჰქონდა და სლავიანების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩეხელმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ გერმანელ-ჩეხელთა კონფერენციაში. კონფერენციის იწვევს ბინერტი. ჩეხელმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ როგორც ყოველთვის, ისე შემდეგშიაც ეხლანდელ მთავრობასთან ვიბრძოლებთო. პოლონეთის სახალხო პარტიის მეთაურმა სტალინსკიმ ჩეხელებს შეატყობინა, რომ გადაწყვეტილებას ვემხრობით.

**ნეკერი**. ნაშუადღევს სამ საათზე აქ დაეშვა ჰაეროპლანი „რესპუბლიკა". „რესპუბლიკს" გზაში ორჯერ გაუფუჭდა მოტორი. დღეს, 24 აგვისტოს, დილით ჰაეროპლანი ლაპალისკენ გაფრინდა.

**ბუდაპეშტი**. დაიხურა ექიმთა საერთაშორისო კონგრესსი.

**კატანია**. სკორდიიდან იტყობინებიან: 24 აგვისტოს. ქალაქში დიდი ქარიშხალი ამოვარდა დაინგრა. 100 სახლი, უმთავრესად ღარიბ მცხოვრებლების სადგომები. მოკვდა ოთხი, მძიმედ დაშავდა 10 კაცი მსუბუქად 40 კაცი.

**პარიზი**. ჰეროპლანი „რესპუბლიკი". ნეკერიდან 25 კილომეტრის მანძილზე დაეშვა, მიზეზი-მოტორის დაზიანებაა. მიწაზე დაშვების დროს ჰაეროპლანი ხეს დაეჯახა, გაფუჭებულია ჩასაჯდომი კალათა.

**ჰააგა**. საახალშენოების სამინისტრომ ნიდერლანდიის—ინდოეთის გუბერნატორისგან მოხსენება მოუვიდა. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, ლუმჯაგანში წყალდიდობას დიდი უბედურება მიუყენებია მცხოვრებლებისთვის. დაიხრჩვალა 500 კაცი, დანგრეულა სახლები, დაღუპულა წრეგანდელი მოსავალი, შინაური საქონელი და სხვა.

**მექსიკა**. მოსელიიდან დეპეშით იტყობინებიან: მოვიდა დიდი წვიმა. წყალდიდობამ ზამოსის ერთი ნაწილი სულ წალეკა.

**კოპენჰაგენი**. დღეს, 24 აგვისტოს, გემ „ხანსა ეგედით" ჩამოვიდა ექიმი კუკი. კუკს ოფიციალურად დაუხვდა რიბერგი, გრენლანდიის მართველი. კუკმა განაცხადა, მეცნიერულად დავამტკიცებ იმას, რომ ჩრდილოეთ პოლიუსს მივაწიეო. პირველ ხანებში ზღვას დღეში ერთხელ ვზომავდი, 8—9 აპრილიდან ორჯერო. გაზომვის დროს მშვენიერი იარაღებით ვსარგებლობდი. დღეში საშუალოდ 19 კილომეტრს გავდიოდი. პოლიუსზე მისვლას სამი თვე მოუნდიო.

**შანხაი**. პრინცმა-რეგენტმა ზღვის ახლო მდებარე პროვინციების მართველებს ბრძანება დაუგზავნა, ამ მოკლე ხანში შეკრიბეთ 30,000,000 ტაელიო. ამ ფულით გემები უნდა აგონ, ფინანსთა მინისტრს გადაწყვეტილი აქვს, ამავე მიზნისთვის ხუთი მილიონი ტაელი გადასდოს.

**კოპენჰაგენი**. ნავთ-სადგური დილიდანვე ხალხით აივსო. ილიან ექიმს კუკს, რომელმაც ჩრდილოეთის პოლიუსს მიაღწია. კუკის დასახვედრად, სხვათა შორის, მოვიდა, ტახტის მემკვიდრე, ამერიკის ელჩი, კოპენჰაგენის კომენდანტი, უცხოელი და ადგილობრივი ჟურნალისტები და სხვა. დილის 10 საათზე ნავთსადგურში შემოვიდა გემი „ხანს-ეგედე", რომლითაც ჩამოვიდა კუკი. კუკს ხალხი აღტაცებით მიეგება. ხალხი რკალივით შემოერტყა კუკს და აღარ უშვებდა. როგორც იყო პოლიციამ შესძლო ხალხის გარღვევა და კუკის განთავისუფლება. ხალხი კუკს ყვავილებით ხელში მიეგება, გზა სულ ყვავილებით იყო დაფენილი. კუკი სამეტეოროლოგიო ინსტიტუტში წავიდა. აქ პატარა ხანი დარჩა და შემდეგ სასტუმროში წავიდა დასასვენებლად. ნაშუადღევს 4 საათზე კუკი მეფემ მიიღო. ჩრდილოეთ გრენლანდიის ინსპექტორმა იენსენმა განაცხადა, კუკმა მართლა მიაღწია ჩრდილოეთის პოლიუსს, რასაც მოგზაურ კნუტ რამსუსენის ცნობებიც ამტკიცებსო. რამსუსენს ცნობები შეუკრებია ესკიმოსების თემში. ამ თემიდან კუკმა თავის თანამგზავრები აარჩია. ესკიმოსები მოწმობენ, რომ ჩრდილოეთ პოლიუსს მივაწიეთო.

**ფრიდრიხსჰაფენი**. ცეპელინმა მოიწვია რეიხსტაგის დეპუტატები, მინისტრები და სხვები და მათი თანადასწრებით ჰაეროპლანით ტბაზე გადაფრინდა.

**ბერლინი**. დღეს, 24 აგვისტოს, ორვილ რაიტი თავის ჰაეროპლანით 19 წუთში 20 კილომეტრი გაფრინდა. გაფრენას, სხვათა შორის, დაესწრნენ საგენერალო შტაბის უფროსი და ამერიკის ელჩი. ხალხი აღტაცებით მიეგება რაიტს.

**ტოკიო**. გარეშე საქმეთა სამინისტროს სიტყვით პეკინში ორთავე მხარეებს ხელი მოუწერიათ ჩინეთ-იაპონიის შეთანხმებას განაჩენისთვის.

**ამსტერდამი**. ხოლერის მსგავსი ავადმყოფობით ავად გახდა არხანგელსკიდან ჩამოსული გემის კაპიტანი. კაპიტანი გარდაიცვალა.

### რუსეთი

**ვარშავა**. მოიჯარადრე—კალატოზნი დასთანხმდნენ, საქმე საამხანაგო სასამართლომ გაარჩიოს. საქმის დაბოლოვებამდინ მუშები შეუდგნენ მუშაობას.

**პეტერბურგი**. დღეს სამხედრო სამინისტროს ლაბორატორიაში, სადაც ტატარინოვი მუშაობდა ჰაერში საფრენ მანქანის გამოსაგონად, უნდა მომხდარიყო გამოცდა ტატარინოვის აპარატისა. სამხედრო მინისტრმა გენერალ ვერნანდერის და სხვათა თანხლებით დაათვალიერა ლაბორატორიაში აპარატი და აპარატი დაუმთავრებლად სცნო. თანახმად ამხედრო სამინისტროსა და ტატარინოვს შორის დადებულ ხელშეკრულობის, მინისტრმა განაცხადა, რომ ხელშეკრულობა ძალას ჰკარგავს და მოსთხოვა ტატარინოვს ლაბორატორიის განთავისუფლება.

ბოლოს დროს გაზეთებში ეიბეჭდა ცნობა, თითქოს რუსეთი სესხის აღებას აპირებდეს—მილიარდ ფრანკს. აგრეთვე გავრცელდა ხმები, ვითომ ბანკირებს დაპირდნენ კონცესიების მიცემა რკინის გზებისა, მთების, ტყეების და სხვა სიმდიდრეთა საექსპლუატაციოდ. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, ეს ხმები ტყუილიაო.

**სარატოვი**. სლავკინში, ხვალინსკის მაზრაში გადაიწვა 63 სახლი.

**მოსკოვი**. მოსკოვის ოლქის სასამართლოს საქმის მწარმოებელი პოლკოვნიკი პოლიაკოვი და მიმღებ კომისიის წევრები კაპიტანები მელიშევი და შერემეტიევსკი სენატორ გარინის რევიზიის მიერ აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებისათვის გადაყენებულ იქმნენ სამსახურიდან. სურპუხოვს

ერობის საგანგებო კრებამ დაადგინა, გახსნას რვა ახალი სასწავლებელი და ყველა საერობო სკოლაში უფასო სწავლება შემოიღოს.

**პეტერბურგი.** დღეს, საღამოს 9 საათზე, ვიბორგის მხარეს, ფლიუგოვის შესახვევში ბოროტ-გამზრახველთა ბრბო თავს დაესხა სადოლო ჰიპოდრომის კასირს, რომელსაც ოცი ათასი მანეთი მიჰქონდა. თავ-დამსხმელებმა ასტეხეს სროლა და დასჭრეს კასირი კისერში. დარაჯმა მოახერხა ცხენების უკან დაბრუნება და ფული გადაარჩინა. თავს-დამსხმელები მიიმალნენ. დაჭრილი კასსირი საავადმყოფოში გაჰგზავნეს

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 23—24 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 49, გარდაიცვალა 18, ავად არის 284 კაცი.

**პოლტავა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: გალიაჩის მაზრაში 1, სოჩელსკის მაზრაში 9, კრემენჩუგში 7 კაცი; გარდაიცვალნენ: სოჩელსკის მაზრაში 32, კრემენჩუგში 2 კაცი.

**სამარა.** 23—24 აგვისტოს ავად გახდა 4 კაცი.

**არხანგელსკი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1 კაცი; მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ვოლოგდა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად ვახდა 16, გარდაიცვალა 9 კაცი.

**გუნგერბერგი.** ავად ხახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**დვინსკი.** უკანასსნელ კვირის განმავლობაში ქალაქში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 16; მაზრაში ავად გახდა 18 კაცი.

**დრისსა.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**კრონშტანტი.** 20 აგვისტოს ავად გახდა 1, 21 აგვისტოს 1 კაცი.

**ნოვგოროდი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 69, გარდაიცვალა 23 კაცი; ნოვგოროდში არავინ გამხდარა ავად.

**პლოცკი.** 15—21 აგვისტომდე ავად გახდა 35, გარდაიცვალა 7 კაცი.

**ტვერი.** 11—22 აგვისტომდე ქალაქში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 6 კაცი; კორჩევის მაზრაში ავად გახდა 36, ვესეგონსკის—3, ნოვოტორჟსკის—2, ტვერსკის—2 კაცი.

**იაროსლავლი.** 21 აგვისტოს რიბინსკში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4 კაცი; რიბინსკის მაზრაში ავად გახდა 2, დანილევსკის—2, გარდაიცვალა 1 კაცი; იაროსლავის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი; მოლოგის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3 კაცი; რომანოვში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი.

## ჰაერში ფრენა

9—16 აგვისტო დაუვიწყარი დღეები იქნება მთელის კაცობრიობისთვის და კერძოდ საფრანგეთისთვის. ამ დღეებში დამტკიცდა, რომ კაცობრიობამ ჰაერიც კი დაიმორჩილა და ახლოა ის დრო, როდესაც ჰაერში მიმოსვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა. 9—16 აგვისტოს ქალაქ რეიმსში გაიმართა ჰაერში მფრინავ მანქანების გაჯიბრება. „რ. ვედომ." პარიზელი კორესპონდენტი ასე აგვიწერს ამ გაჯიბრებას:

„შესანიშნავი დღეები განიცადა კაცობრიობამ. რეიმსში ჰაეროპლანების გაჯიბრება მოხდა. ნუ გგონიათ, რომ ჰაეროპლანების უბრალო გამოცდა ყოფილიყოს. თქვენ თვალწინ ჰაერში დაფრინავდა ჰაეროპლანების მთელი ფლოტილია. „ადამიანი-ფრინველები" რიგ-რიგზე თავისუფლად დანავარდობდნენ ჰაერში, იკრიბებოდნენ, ხან დაეშვებოდნენ, ხან აფრინდებოდნენ. გველივით გასრიალდებოდა ერთი, მიჰყვებოდა მეორე, კვლავ შეიკრიბებოდნენ, გასრიალდებოდნენ, სცდილობდნენ ერთმანეთისთვის გაესწროთ... ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ დამსწრენი ჰაერზე გამარჯვებულებს ულოცავდნენ. ყველაზე ძალიან ფრანგები არიან გახარებულნი. გასაკვირველი არ არის ფრანგების სიხარული, პატრიოტული სიამაყე. ერთი პუბლიცისტისა არ იყოს, ფრანგს თამამად შეუძლიან სთქვას: ისევ საფრანგეთმა **შეასხა ფრთები** კაცობრიობასაო. მართალნიც არიან. არსად, არც ერთ ქვეყანაში ისეთ დიდ ყურადღებას არ აქცევენ ჰაერში ფრენას, როგორც საფრანგეთში. აქ სენატსა და პარლამენტში განსაკუთრებული ჯგუფები შესდგა. მათი მიზანია, ხელი შეუწყონ ჰაერში ფრენის განვითარებას. მთავრობასაც გადაწყვეტილი აქვს, ჯერ-ჯერობით ყოველ წლივ ამ საქმისთვის 200,000 ფრანკი გადასდოს და შემდეგ ეცადოს, რაც შეიძლება გაადიდოს ეს თანხა. საზოგადოებას ხომ ნულარ იტყვით: ყველა, დიდი და პატარა, გატაცებულია ამ საქმით, სხვა და სხვა საზოგადოება დახმარებას უწევს ჰაერში მფრენავს, ნიშნავს პრემიებს და სხვას. მაგალითისთვის მოვიყვანთ ქალაქ რეიმსის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც 9—16 აგვისტოს გაიმართა ჰაეროპლანების გაჯიბრება. მუნიციპალიტეტმა მშვენივრად მოიყვანა სისრულეში თავისი გადაწყვეტილება.

გაჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 32 ჰაეროპლანმა. მონაწილეობას იღებდნენ ვუაზენის, ფარმანის, რაიტის და კურტისის სისტემის ბიპლანები და ბლერიო-ანტუანეტის და რენის სისტემის მონოპლანები. ჰაერში ფრენით გატაცება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქალაქში ადგილები აღარ იყო სტუმრებისთვის, უმეტესი ნაწილი ქალაქ გარედ კარვებში მოათავსეს და როდესაც ესეც არ ეყოთ, სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულები ახლო-მახლო ქალაქებსა და სოფლებში დაბინავდნენ. დაახლოვებით ოთახი დღეში 70 მანეთად ფასობდა, მაგრამ ფულს ვინა სჩიოდა, ოღონდ სადგომი ეშოვნათ. ჰაეროპლანების გაჯიბრებას საფრანგეთის პრეზიდენტიც დაესწრო. დამსწრეებმა პირველ დღესვე აშკარად დაინახეს რამდენიმე ათი ჰაერში მფრინავი ჰაეროპლანი და ისიც როგორ მფრინავი! თვალის დახამხამებაზე პოლანი ჰაერში გაჩნდა, მას მიჰყვა ლატამი, ლატამს ბლერიო და ასე, ხალხი დარწმუნდა, რომ ეს „ადამიანი—ფრინველები" შესანიშნავად დაფრინავენ, მთელის საათობით ჰაერში რჩებიან თავისუფლად ტრიალებენ და სხვა.

„თეორიულად და პრაქტიკულად ჰაერში ფრენის საკითხი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. „ადამიანი-ფრინველი", ან ფრინველი, რომელსაც ფრენაც შეუძლიან და ლაპარაკიც, უკვე არსებობსო", სწერს ერთი ინჟინერი. ცნობილ რაიტს უთქვამს: ერთად-ერთი ფრინველია, რომელსაც ლაპარაკი შეუძლიან—თუთიყუში, მაგრამ თუთიყუში ამასთან ერთად-ერთი ფრინველია, რომელსაც ფრენა არ შეუძლიან. კაცმა ლაპარაკიც იცის და ფრენაც". ინჟინერი ბერჟე სწერს: „ადამიანი-ფრინველი" ჯერ კიდევ ვერა სწყვეტს ჰაერში ფრენის საკითხს, ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გადასწყდება, როდესაც „გემ-ფრინველს" გამოიგონებენ. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ჩვენის თვალითა ვნახავთ „გემ ფრინველს", რომელიც 24 საათში ატლანტიის ოკეანეზე გადაფრინდება.

რეიმსში მომხდარი გაჯიბრება მშვენივრად ამტკიცებს ბერჟეს ამ სიტყვებს. საათში ჯერ ეხლავე 70-80 ვერს გადიან. გავა ცოტა ხანი და კაცი ჰაერის სრული პატრონი გახდება. იმედი აქვთ, რომ ამის შემდეგ საერთაშორისო ურთი-ერთობაც შეიცვლება. შესაძლებელია ამ მოკლე ხანშივე გამართლდეს სენატორი ესტურნელ-დე-კონსტანის სიტყვები: „ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ იქნება, რომ საერთა-შორისო მშვიდობიანობის დაცვა შესაძლებელი გახდება. პირიქით, გასაკვირველი იქნება ის, თუ ვინმე ომზე იოცნებებსო".

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე შატილოვი.** „რუსკ. სლოვოს" სიტყვით, ამ მოკლე ხანში თანამდებობას თავს დაანებებს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენ. შატილოვი.

✦ **საგენერალ-გუბერნატოროები.** „ნოვაია რუსი" სწერს, პეტერბურგში ხმა დადის, რომ კავკასიის ზოგიერთ გუბერნიას საგენერალ-გუბერნატოროდ გადააკეთებენო.

✦ **პატიმრების მოკვლა.** ამ დღეებში ტფილისში დააპატიმრეს იოსებ სულხანიშვილი და ალექსანდრე კაციაშვილი. პატიმარნი საგუბერნიო საპატიმროში გაუგზავნიათ. ტოლლეს ქარხნის მახლობლად, პოლიციის ცნობებით, პატიმრებს გაქცევა განუზრახავთ, ცხენოსან მცველებს თოფები უსროლიათ და პატიმარნი იქვე დაუხოციათ. ტოლლეს ქარხნის მხრიდან ვილაცას რევოლვერი უსროლია და მიმალულა. ალბად მსროლელს უნდოდა სროლით მცველების ყურადღება მიექცია, რომ პატიმარნი დამალულიყვნენ. იმ ადგილას, საიდანაც ხმა მოისმა, ნახეს რევოლვერი.

✦ **სასამართლოში.** კავკ. სამხედრო-ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ყაზახის ოტრიშკოს მოკვლისა და გოროდოვოის კორმჩაევის დაჭრის შესახებ. ეს ამბავი 1907 წელს 7 იანვარს მოხდა. სამართალში მისცეს კონსტ. ევსეევი, სამსონ სამხარაძე, ანდრია ანდრიასოვი, ალექსა და გიგო ქიტუაშვილები. უკანასკნელი სამი საქმის გარჩევამდე გაიქცა, სამხარაძე, არეულობის დროს, მეტეხის ციხეში მოჰკლეს. ამ რიგად, დარჩა მარტო კონსტ. ევსეევი, რომელსაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

✦ **სტიპენდიები.** ამ დღეებში გაანაწილეს დავ. ზ. სარაჯიშვილის სტიპენდიები. სტიპენდიები დაენიშნა შემდეგ პირთ: ალექსანდრე ლომთათიძეს (ხარკოვის უნივერსიტ. სტუდენტს), ლევან ასათიანს (მოსკოვის უნივერ. სტუდენტს), ვლადიმერ ყანჩელს (ს.-პეტერ. უნივერ. სტუდენტს), შალვა ქართველიშვილს (ტფ. მეორე გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულს), ვ. ი. მენთეშაშვილს და დავით ცხვედაძის (ტფ. პირველ გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულს), სოლომონ ფურცელაძეს (ტფ. მეორე გიმნაზიაში სწავლა დამთავ.) და გიორგი ბერძნიშვილს (რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს). გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ სტიპენდიებს ეძლევათ საშუალო სასწავლებელშივე.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „კოლხიდის" გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნი ანდრია შუბლაძისა: „სახმო წესით კითხვის სწავლება: სკოლის გამოცდილებიდან". ფასი 10 კაპ. იმავე „კოლხიდამ" გამოსცა ქართული მოძრავი ასოები (4 ფურც.). ფ. 20 კ.

✦ **მღვდლის გადაყენება.** ეგზარხოსის მოადგილის განკარგულებით, თანამდებობიდან გადააყენეს ქვიშხეთის ეკლესიის მღვდელი ლორია. მღ. ლორიას აბრალებენ გლეხებს შორის პროპაგანდას მემამულეების წინააღმდეგ—გადასახადებს ნუ მისცემთო.

✦ **შუამდგომლობა.** პატარძეულის სოფლის საზოგადოებას (გარეკახეთი) შუამდგომლობა აღუძრავს დაარსდეს პატარძეულში ორ-კლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა სახელოსნო და სასოფლო სამეურნეო განყოფილებით. [illegible] 14 დესეტინა მიწას ჰპირდება.

✦ **მასწავლებლების არჩევნები.** შაბათს, 22 აგვისტოს, მოხდა სხდომა ქალაქის სასწავლებელთა კომისიისა ქალაქის სკოლებში მასწავლებელთა დასანიშნავად. გამოირკვა, რომ თავისუფალია 5 ადგილი ქართველ მასწავლებლისა, 6 სომხისა, ერთი—მაჰმადიანისა, ერთი—რუსისა და ავჭალის სკოლაში—ერთ ისეთ მასწავლებლისა, რომელმაც უნდა იცოდეს როგორც ქართული, ისე სომხური ენა. რადგან მასწავლებლის ადგილი მრავალმა ითხოვა, კომისიამ აღნიშნულ სხდომაზე მთხოვნელთა თხოვნები რამდენიმე ჯგუფად გაჰყო. ქართველ მასწავლებელთა კანდიდატთა ჯგუფში 19-ია, სომეხთა 27 და სხვ. არჩევანი მოხდება 27 აგვისტოს.

✦ **დრამატიული კურსები.** სომხურ დრამატიულ საზოგადოების, რეჟისორი სელუმიანი სექტემბერში დრამატიულ კურსებსა ჰხსნის სომეხთა სცენის მოყვარეთათვის.

✦ **კავკასიონის მთაზე რკინის გზა.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კავკასიონის მთაზე რკინის გზა 60,000,000 მანეთი დაჯდება. ამ ფულს გზათა სამინისტრო 10 წლიწადში გადაიხდის. რკინის გზის სიგრძე 180 ვერსი იქნება, ტუნნელის სიგრძე—21 ვერსი.

✦ **თავად-აზნაურობა და დაღესტნის ალება.** დღეს, 25 აგვისტოს, სრულდება 50 წელიწადი, რაც რუსის ჯარმა გუნიბი აიღო და ცნობილი შამილი ტყვედ წაიყვანა. დღეს და ხვალ ამის გამო დიდი დღესასწაულია გუნიბში ნამესტნიკის და მრავალ ჯარის თანადასწრებით. ამ დღესასწაულის გამო ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა და მარშალთა კრებამ დაადგინა: 1) გაუგზავნოს ნამესტნიკს მისალოცი დეპეშა; 2) დაესწროს პარაკლისს და 3) გაიღოს 500 მან. ეს ფული გადაიდო ხვალისთვის განზრახულ

## ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

(შემდეგი *)

საქართველოს ისტორია ამ მხრით თითქოს არ არსებობდეს რაჟდენიძისათვის. სად იყო ჩვენში ან კაპიტალიზმი და ან გაერთიანებული სახელმწიფო, როდესაც ქართული კულტურა ყვაოდა საქართველოს სხვა და სხვა ნაწილში, განსაკუთრებით კლარჯეთში? როდესაც ქართული ენა კელაპტარსავით ჩამოესხა და ნამდვილ ლიტერატურულ ენად იქცა **საერთოდ ყველა** ქართველთათვის? შემდეგ—მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში რომელი კაპიტალიზმი იყო, როცა ყვაოდნენ შავთელი, ჩახრუხაძე, დიდი შოთა რუსთაველი, ან მთელი პლეიადა მწერალთა, ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა, რომელთა მოღვაწეობა არ შეწყვეტილა მე-8 საუკუნიდან მე-13-მდე? ან შემდეგ, როცა მონგოლებმა გაანადგურეს ჩვენი კულტურა და საქართველოც დაიყო, რაჟდენიძეს ჰგონია საერთოდ ქართველთათვის არა ეთდებოდა რა კულტურულის მხრით და კილოკავებით კმაყოფილდებოდნენ? ან მას ჰგონია, რომ გურულს მხოლოდ გურული ეგონა თავი და არა ქართველი, იგი არ ეზიარებოდა საერთო ქართულ კულტურასა საუკუნეთა განმავლობაში? ან რამდენი სამწერლო ენა იყო ნეტავ ჩვენში? მართლაც ყოვლად უვიცი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამისთანა რამეები როშოს, და ბ-ნ ანსავით განაცხადოს,—ქართული მწერლობა მაშინ დაიწყო, როცა 1820 წ. რუსის მთავრობამ თავის ხარჯით გაზეთი დააარსაო! თურმე სულ ტყუილი ყოფილა ენა, მეცნიერება და ფილოსოფია პეტრიწისა, ისტორია ეფრემ მცირისა, დავით აღმაშენებლის მემატიანისა, პოეზია ჩახრუხაძისა, რუსთაველისა და სხვათა, მშვენიერი ხელოვნება,—ქანდაკება, მხატვრობა, ხუროთ-მოძღვრება, — ყველაფერი ფეოდალური ყოფილა, ხალხს მისი არაფერი ეინტერესებოდა, აღმოჩენილან სომხის კაპიტალიზმი და რუსის მთავრობა, გაუდვიათ „ხიდები" (ეს „ახალი", „კულტურული" და „ლიტერატურული" ენაა!) და ეხლა შექმნილა ქართველი ერი, ქართული კულტურა, წინად კი არავითარი კულტურული ერთობა არა ყოფილა, ენაც კი ფეოდალური ყოფილა! ასეთი საკვირველი ცხოვრება გვქონია ყველას, მათ შორის ჩვენ, და რაჟდენიძესაც ჰგონია, ჭეშმარიტებას ლაღადებს მისი მცოდნე თავითა! კილოკავებზედაც კი ლაპარაკობს,—ფეოდალურ ენას რომ გაურბოდა ხალხი, კილოკავებს ანვითარებდაო! დალოცვილო, ჯერ ერთი—ხალხი, გლეხი, რომელმაც არ იცის ლიტერატურა და არც უსწავლია რა, ყველგან თავისებურად ლაპარაკობს, აქაც და თვით ინგლისშიაც. იტალიაში რამდენიც ქალაქია, იმდენი კილოკავი კი არა, დიალექტია,—აგრეთვე საფრანგეთში და გერმანიაში. არ იფიქროთ, რომ ეს კილოკავები და დიალექტები ყველგან ჰქრებოდნენ: პირიქით, ბევრგან ვითარდებიან! პროვანსალურ ენაზე ლიტერატურაც კი არის და ვითარდება. გერმანულ ლიტერატურულ ენის შესწავლა არც ისე ადვილია თვით გერმანელ „ხალხისთვის". ამ შემთხვევაში ჩვენში უფრო ენის ერთობა, ვიდრე კაპიტალისტურ იტალიაში ან საფრანგეთში. ჩვენში სამი დიალექტია—მეგრული, სვანური და ლაზური (რომელიც იგივე მეგრულია ცოტაოდენის გარჩევით), იქ კი აუარებელი. გურულს, იმერულსა და რაჭულს კი კილოკავიც არ შეიძლება ვუწოდოთ. იგი წმინდა ქართულია, მხოლოდ ცოტაოდენ სიტყვებითა, აქცენტითა და წვრილმან გრამატიკულ თავისებურობით განირჩევა ლიტერატურულ ქართულისაგან (ეს ვაჟბატონები, ენის გაერთიანების დაგვიანებული მოციქულები და აღმომჩენლები, სწორედ ამ კილოკავებით სწერენ!) და აბა ჩვენში უფრო მომხდარა კაპიტალიზმისაგან გამოწვეული გაერთიანება ენისა, ვიდრე ევროპაში. რაჟდენიძემ რომ ასეთი რამა სთქვას, არც არის გასაკვირველი, რადგანაც იგი პირდაპირ ამბობს: „ეს პროცესსი—ქართველი ერის თანამედროვე ეროვნებათ გადაქმნის ჯერ არ დამთავრებულა, კაპიტალიზმს ჯერ კიდევ ყველგან თავისი კვალი ღრმად არ გაუვლია, **თუმცა იგი ყველა კუნჭულში, თვით მიყრუებულ სოფლებში შეიჭრა**". (ჩანგი, № 10). ზარემლაც ისა სთქვას ამ დალოცვილმა, ჩვენში უფრო განვითარებული კაპიტალიზმი, ვიდრე ევროპაშიო, და დიალექტებიც ევროპაში უფრო ადვილი ასახსნელი იქნებოდა!

მაგრამ უკვე საგანი სხვა სჩნდება გასარჩევად: კაპიტალიზმი ჩვენში. რა ჭკუისა და დაკვირვების უნდა იყოს ადამიანი, რომ სთქვას—ჩვენში კაპიტალიზმი ყველა კუნჭულში, თვით მიყრუებულ სოფლებშიაც შეიჭრაო. ერთხელ ასეთი სიბრძნე ფილიპე მახარაძემ წარმოსთქვა, მაგრამ იგი რის მახარაძეა, რომ ასეთი სიბრძნე არ გამოჰფინოს. ყველა „კუნჭულში და მიყრუებულ სოფლებში" თვით ევროპაშიაც არ შეჭრილა კაპიტალიზმი. ის კი არა და ევროპის ყველა ქვეყანაში ვხედავთ მეურნეობის უპირველესსა და საშუალო წესებს კაპიტალიზმის გვერდით, რომელნიც არ გამქრალან და სცოცხლობენ, დიდ ხანსაც იცოცხლებენ. წვრილი მრეწველობაც ყველგან ჰყვავის, მისი ათასი დარგი ჩნდება ყოველ წელს გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში ხშირად სწორედ მსხვილ მრეწველობისაგან გამოწვეული; ჩვენში კი კაპიტალიზმი შეჭრილა თურმე სვანეთში, ხევსურეთში, გურიაში ხომ ალბად ნიუიორკის მილიარდები ტრიალებს! ან ბანი უნდა იცოდე კაცმა ეკონომიურ მეცნიერებისა, ჭიანჭველის ოდენი დაკვირვება უნდა გქონდეს, რომ ასეთი რამე არ წამოროშო. კაპიტალიზმს ახასიათებს როგორც მეურნეობის სისტემას, ფული, საწარმოო საშუალებათა კონცენტაცია ფულის პატრონის ხელში, ფაბრიკაში თავის მოყრა მუშებისა, განვითარებული ბაზარი, კრედიტი, ბანკები. კაპიტალი არის თვითმოზარდი ღირებულება, რომელიც საქონლის ფორმას იღებს საწარმოო პროცესსიდან გამოსვლის შემდეგ და თვით ამ საქონელში არის მოთავსებული ზედ-მეტი ღირებულება და მოგება კაპიტალისტისა. კაპიტალიზმი გულისხმობს საქონლის წარმოებისა და ბრუნვის მთელ განვითარებულ რთულს მექანიზმს კრედიტისას და ფულისას. ბოლოს, კაპიტალიზმი, როგორც სოციალური ურთიერთობა, ფულის პატრონ მწარმოებელ კლასსა და უსაკუთრო პროლეტარის შორის სპეციფიკური განწყობილებაა. მერე სად არის ჩვენში ასეთი მოვლენა? სად არიან ჩვენში ქარხნები ფულის პატრონები, ზედ-მეტ ღირებულების მწარმოებელნი, საქონელთა მწარმოებელნი მსოფლიო ბაზრისათვის, სად არის განვითარებული კრედიტის სისტემა, ბანკები? სად არის ან სოფლის მეურნეობაში მსგავსი რამ კაპიტალიზმისა? ნუ თუ, განვიმეორებ, ტფილისის დეპო, თამბაქოს ორიოდე ქარხანა და ჭიათურა არის ისეთი მოვლენა, რომელიც საქართველოს კაპიტალისტურ ქვეყანადა ჰხდის? ან რომელი კაპიტალიზმი შეჭრილა მიყრუებულ სოფლებში? ეს მეოცნებეს სიზმარია, თუ ბავშვის უთავ-ბოლო ლაპარაკი?!

კაპიტალის უმაღლესი ფორმა მწარმოებელი კაპიტალია, საშუალო—სავაჭრო, უუმდაბლესი—საჩარჩო. ჩვენში სად არის მწარმოებელი კაპიტალი? ერთი მხრით,—რამდენია მწარმოებელი კაპიტალისტი, რამდენია ფაბრიკა და რისა ქართველი „ბურჟუაზიის" ხელში? როგორია ბრუნვა მათი კაპიტალისა? რამდენი პროლეტარი მუშაობს მათ ქარხნებში? ან სავაჭრო კაპიტალი როგორ განვითარების საფეხურზეა ტფილისში, ბათუმში და ქუთაისში—ქართველთა ხელში? თუ იგინი შეჰქმნიან რასმე ეროვნულ სიძლიერის მხრით? ან მათი „პრიკაშჩიკებისაგან" რა დიად კულტურულ ძალას უნდა გამოელოდეს ადამიანი? ან როგორია მათი რაოდენობა? ან ღირს თუ არა ჩვენ საჩარჩო კაპიტალზე ლაპარაკი, რომელიც გლეხის განადგურების მეტს არას მოასწავებს? ან სოფლად რა სისტემაა მეურნეობისა 99 % ჩვენ გლეხთა შორის? ან ის შინაური წვრილი მრეწველობა (Куст. пром.), რომელსაც ჩვენში მხოლოდ ოდნავ აქვს ფეხი მოკიდებული—რას წარმოადგენს, ან აქვს თუ არა დიდი მომავალი? რას ლაპარაკობთ ისე ჩვენ „კაპიტალიზმზე", თუ ოდნავ მაინც არა გაქვთ წარმოდგენა არც კაპიტალიზმზედა და არც ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაზედ? დიდი უმრავლესობა ჩვენი მწარმოებელი ხალხისა გლეხობაა, ისიც წვრილი მესაკუთრე გლეხობა, პირველ-ყოფილ იარაღით მომუშავე, თვით ორიოდე „პროლეტარიც" სოფლის წვრილი მესაკუთრეა და არა ნამდვილი პროლეტარი, სოფლად ჩარჩი აძრობს ტყავს გლეხს, ქალაქში—ორიოდე მედუქნე, რამდენიმე წვრილი მრეწველი ერთგან, მადნებში, ოდნავ შემოსული შინაური წვრილი მრეწველობა, შეიძლება ერთი ან ორი კაპიტალისტი, შემთხვევით გამდიდრებული, ორიოდე რაღაც საზოგადოება, ისიც ნახევრად გაკოტრებული,—აი ჩვენი ეკონომიური უძლურება, ესენი კი ქვეყანას არწმუნებენ—„კუნჭულებში" კაპიტალიზმი შეიჭრაო! ვის იგდებთ სასაცილოდ?!

მაგრამ რაჟდენიძე გვეტყვის—უცხო ხომ არის, თუ ჩვენი არ არისო, და ამით გულს დაუმშვიდებს საცოდავს ქართველს, მის მიმდევარს. კაპიტალიზმი ხომ ბურჟუაზია არ არისო (როგორც თურმე B-ს ჰგონია) და სხვა. კაპიტალიზმი რომ წარმოების წესია და ბურჟუაზია ერთი კლასი, აუცილებელი კაპიტალისტურ წარმოების წესის დროს, ამას რაჟდენიძე მგონი B-ს ვერ ასწავლის, რომ კლასსი ერთია და წარმოების სისტემა მეორე—ეს ჩვენ ძალიან კარად ვიცით, მაგრამ ჩვენში რომ არც ერთია განვითარებული და არც მეორე, ეს ბ-ნმა რაჟდენიძემ არ იცის და ორივე ეჩვენება ჩვენი სოფლის მივარდნილ კუნჭულებშიაც კი. ჩვენი ქვეყანა რომ უბრალო საოჯახო მეურნეობის ქვეყანაა უმთავრესად, საქალაქო მეურნეობა რომ სუსტად არის განვითარებული, ხელოსნობა რომ სჭარბობს კაპიტალისტურ მრეწველობას ქალაქებში, ეს მრეწველობა რომ უმდაბლეს ხარისხისაა და სხვა, რომ მწარმოებელი კაპიტალი ჩვენში არ არის ისეთი, რომ დიდ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს, რომ სავაჭრო კაპიტალიც არ არის დიდ-ძალი,—ეს უეჭველი ფაქტია! მაგრამ ვერც ეს დაუნახავს ბ-ნ რაჟდენიძეს.

უცხო კაპიტალიზმი და საკუთარი ხომ ერთი და იგივე არ არის ერისათვის,—ესეც ხომ ცხადია, მაგრამ რაჟდენიძე რას დაგიდევს, მისთვის სიტყვა კაპიტალიზმი და კლასები საინტერესო, ხოლო არის თუ არა ეს კაპიტალიზმი, ან კლასები, ან ვისი კლასები ვითარდება, ეს მისთვის სულ ერთია, ეროვნულ საკითხს კი

*) იხ. „დროება", N 186.

სეირნობის თანხის გასაძლიერებლად.

✦ **ახალი რუსული გაზეთი.** გაზეთების სიტყვით, შემოდგომიდან ტფილისში გამოვა რუსული გაზეთი „ნოვოსტი ზაკავკაზიე“ პ. გოთუას რედაქტორობით.

✦ **ლაზების ისტორია.** ტრაპიზონიდან ტფილისში ერთ ქართველს წერილი მოუვიდა. წერილი გამოგზავნა ტრაპიზონის ბეითალს ლაზს, გვარად ზიას. წერილი ფრანგულად არის ნაწერი და, სხვათა შორის, ნათქვამია: მე დიდი სურვილი მაქვს, ჩვენის ქვეყნის ლაზისტანის—ისტორია შევისწავლო ენა არ ვიცი, ამიტომ გთხოვთ, თუ თქვენ რამე წიგნები მოგეძევებათ ფრანგულს ენაზედ, გამომიგზავნეთ.

✦ **სომხური სკოლები.** სომხეთა ქათალიკოსის განკარგულებით, ეჩმიაძინის სინოდთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სომხურ სკოლების მასწავლებელთა არჩევა, მათზე თვალყურის დაჭერა, სკოლების მდგომარეობის შესწავლა, გაუმჯობესება და სხვა. კომისია შესდგომია ცნობების შეკრებას. კომისიამ ქართლ-იმერეთის სომეხთა ეპარქიასაც მოსთხოვა საჭირო ცნობები.

✦ **თავის მოკვლა.** მელიქოვის ქუჩაზე 23 აგვისტოს საღამოთი მამის სახლში რევოლვერით თავი მოიკლა ქალთა პირველ გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე ქალმა ანნა ივანოვამ (16 წლ.). ქალს რევოლვერი თავის მამის მაგიდიდან ამოუღია. თავის მოკვლის მიზეზი არ არის გამორკვეული.

✦ **მაჰმადიანი ქალი.** ქართველ მაჰმადიანთა ქალები სტამბოლში განთქმულნი ყოფილან ძველიდანვე. ისტორიით ვიცით, რომ სულთან აზიზის დედა ქართველი მაჰმადიანი ყოფილა—გვარად ქუთათელაძე. ძველად მრავალ დიდ კაცს ქართველი ქალი ჰყავდა პირველ ცოლად. ეხლა, რაც სულთნის აბდულ-ჰამიდის ტახტი დაეცა, მისის ჰარამხანიდან რამდენიმე ქალი განთავისუფლებულა, მათ შორის ერთი ქართველი მაჰმადიანი ქალი. იგი ამას წინად ბათუმში ჩამოსულა. ამ ქალს ქართული წერა-კითხვა ჩინებულად სცოდნია. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ სტამბოლში დაბრუნებულა და ეხლა სტამბოლიდან ქართულად სწერს თავის დედას წერილებს და ქართულ წიგნებს სთხოვს. საზოგადოდ, მრავალი ქართველი მაჰმადიანი თხოულობს ამ ბოლო დროს წიგნებს.

✦ „აპოლოს“ პროექტორში 22 აგვისტოს ღამით სტუდენტები დავით დომინაძე და ტიგრან ინიევი. სტუდენტებს, მთვრალებს, პროექტორის პატრონის ბეგლარსთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ მოქმედებით. წესრიგის აღსადგენად მისულა პოლიციელი ფეტალიბეგოვი. მისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებია სტუდენტს დომინაძეს. ორივე სტუდენტი დააპატიმრეს: დომინაძე საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს ხოლო ინიევი გამოფხიზლებამდე პოლიციაში დასტოვეს.

✦ ყარსიდან ტფილისში ჩამოსულა ვინმე ნიკოლაევი. 22 აგვისტოს ნიკოლაევს მიხეილის ქუჩაზე ერთ სახლის ეზოს ადგილში კარბოლის სიმჟავე დაულევია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ ნიკოლაევი გადაიცვალა.

✦ როგორც სურამიდან გვატყობინებენ 23 აგვისტოს იქ რუსეთიდან გაიხსნა დრამატიული საზოგადოება. წარმოდგენას დიდი ძალი ხალხი დასწრებია.

✦ ტფ. შრომის ბირჟის კამკის თანაშემწე სადათელდოვი გადაყვანილ იქმნა ქალაქის განათების საქმის შტატში, ხოლო იმის ადგილზე ქალაქის გამგეობამ დანიშნა გოდონიშვილი.

✦ დიტრიხის კანტორის მცველი ზულბუკარ კურამ მუგამა-ოღლი 23 აგვისტოს დამთვრალა. იგი დიტრიხის ლუდხანის ხელოსნის ბენდუქიძის ბინაზე შესულა და სრულიად უმიზეზოდ რევოლვერი გაუსროლია. საბედნიეროდ ტყვია არავის მოხვედრია. მუგამა-ოღლი ამის შემდეგ გამოსულა დიდუბის ქუჩაზე და იქ მომავალ პლასტუნებისათვის დაუმიზნებია რევოლვერი. ამ დროს პოლიციელს იარაღი აურთმევია და პოლიციაში გაუგზავნია.

✦ 23 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სერებრიანი ქუჩაზე მომავალ მუშას ტონო პეტროსიანს თავს დასცემია სამი კაცი. წაურთმევიათ 3 მან. პეტროსიანი დასდევნებია მძარცველებს და პოლიციის დახმარებით კიდეც დაუპატიმრებია. მძარცველები აღმოჩენილან ალექსანდრე მეტალიშვილი, რეალურ სასწავლებლის მოწაფე სერგო ნიკოლოსოვი და ვასილ დემუროვი.

✦ როგორც ვწერდით ნახეს იუნკრის გვამი. იგი აღმოჩნდა კურინის პოლკის „ვოლნოოპრედელიაუშჩი“ გენადი სახაროვი, არსენალის ქუჩაზე მცხოვრები. მოკლულს ეგზამენი ვერ დაუჭერია კადეტთა კორპუსში და ამ მიზეზს აუმღლებია იგი თავი მოეკლა.

✦ 23 აგვისტოს დააპატიმრეს ნიკოლოზ კესაშვილი და კონსტანტინე სამადოვი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ დაბრუნებულან; ამავე დღეს დააპატიმრეს იოსებ ხარჩილავა, რომელიც 1906 წელს საარტილერიო ბრიგადიდან გაქცეულა და დღემდე იმალებოდა.

# მოწერილი ამბები

**თელავი.** უცხო ან ჩვენი კაცი პირველად რომ თელავში მოვიდეს, სადგურიდან ფეხი არც-კი ექნება გადმოდგმული, რომ ეშირდებით თელავის გაცნობას; უცხოთ რომ თელავი ძველი ქალაქია და შესანიშნავი თავის სიძველენია, ეშირდებით ერეკლე მეორის ციხე-დარბაზის, ძველ გალავნების ნანგრევების, გვირაბის ნახვას და სხვას. უმეტესი, რასაკვირველია, გალავანია, რომელიც დანარჩენ სამ გალავანზე მთლიანად არის შენახული. ეს გალავანი ორად არის გაყოფილი: პირველ ნახევარში მოთავსებულია ყოფილი სემინარია და აწ სასულიერო სასწავლებელი, ხაზინა და საპყრობილე. ხოლო მეორე ნახევარში—საკათედრო ტაძრის გარდა, ერეკლე მეორის ყოფილი სასახლე, რომელიც ნამესტნიკის ვორონცოვის (წინანდელ) ბრძანებით გადაკეთებითა და გაფართოებით ეხლანდელი წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი. აქვეა კარის წმ. ნინოს ეკლესია, მხოლოდ ეზოში, ერთ გალავნის კუთხეში შეამჩნევთ დაქცეულ ოთახს, რომელსაც ეხლაც ერეკლეს აბანოს ეძახიან. მართლაც ნააბანოა არის. თვით შენობა დიდს შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენს, ნაშენად ფართო თაღ გადახურული სამეფო დარბაზი, კარის ეკლესია და ის ოთახი, სადაც გარდაიცვალა პატარა კახი, რომლის ცხედრში მარმარილოს ფირფიტაა ჩასმული მესაფლავის ზედ წარწერით.

მე მინდა ვისიც ჯერ არს, ყურადღება მივაქციო იმ სიძველეზე, რომლებიც განსაკუთრებულია და დღეს ან ხვალ სტიქიონის ძალისაგან აღიგვება დედამიწის პირისაგან. ეს გახლავთ ზემოდ ნათქვამი აბანო, რომელიც ამ ჟამად წარმოადგენს მარტო ერთ ოთახს. აშენებულია იგი მეჩეთის მსგავს გეგმაზე, კედელში ჩატანებული აქვს ორი ქვევრი, ერთი დიდი და მეორე მომცრო; ჭერი კარგად შენახულა, აგრეთვე გუმბათიანი კედლებიც, ეტყობა, წინად მხატვრობა ყოფილა კედლებზე, მხოლოდ სახურავი აღარა აქვს, ზედ ბალახი ამოსულა და ხესაც-კი უხეირია. რასაკვირველია, აბანოს ერთი ან ორი ზედ მიდგმული ოთახი ექნებოდა, მაგრამ ეხლა იმის ნასახიც აღარ ეტყობა. მოვა დრო, როცა ამ აბანოსაც ასე დაემართება თუ ყურადღება არავინ მიაქცია. შეკეთება-კი დიდ ხარჯს არ გამოიწვევს.

გალავანში შესასვლელ აღმოსავლეთის კარებზე, ოთხ-კუთხი თაღის გადაყვანილი, რომლის მაღლა სდგას კოშკი, აგრეთვე თაღიანი, ფერად ზოლად გადაყვანილი ოთახი. სახურავი ჩამოწოლილია და წვიმა და თოვლი შიგ კედლებში ჩადის. კაცის რამდენიმე წელიწადი და შეიძლება კედლებიც დაზიანდეს და დაიქცეს. ამას მარტო სახურავის გამოცვლა მოუნდება.

დანარჩენნი გალავნები არას წარმოადგენენ. მხოლოდ გარდასახედია კარგი: მთელი შიგნით კახეთი კავკასიონის მთის ქედამდე ხელის გულივით მოსჩანს. ყველგან ეკლესიებია და ერთი მათგანი გუმბათიანი, ნათლის მცემლის ეკლესია, შესანიშნავია თავის ძველებურ ქართულ მხატვრობით. კანკელზე ხუცური წარწერაა. ხატები ტაძრზეა ნახატი. ეკლესია უყურადღებოდაა მიტოვებული და დრო თავისას ასრულებს. რათა ეს მხატვრობა დაცულ იქმნას, საჭიროა მისი სხვა, მტკიცე ეკლესიაში გადატანა. არც ეს გამოიწვევს დიდ ხარჯს, მხოლოდ, როგორც ზევით, ისე აქ, საჭიროა თაოსნობა.

აქ ამ მოკლე ხანში გაიხსნა წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილება. რაკი სხვა არავინ ზრუნავს ძველ ნაშთებისთვის, კარგი იქნება ამ განყოფილებამ მაინც მიაქციოს ყურადღება, მით უმეტეს ხარჯი დიდი არ უნდა.

**დავიწყებული.**

—

**ს. კირბალი.** (გორის მაზრა) სოფელი ზნესა უძლოთ, მის გვაიარე უჯახოთ, სწორედ სოველ კირბალზე ითქმის. გუნდი ხანმა და აქცა, როგორც ყველგან, მისწყვა საერთო ხმაურობა. სახლი მიეუბდა; მეხერდა ძველებური მაჯის ცემა, ყველაზედ ძლიერ ეს გახარდათ მიუჩხებულ ქვემძრომებს. მათ ისარგებლეს მძიმე დროთი და კისერ-მოღრეცილები გამოძვრნენ სოროებიდან. ერთობის დროს გადამდგარი გაჩედან თეთრი კანი გადაიძრეს და ისევ ძველებურ გველის ჭრელ ტყავში გამოიჭიმნენ. ეს ვაჟბატონები არ ერიდებიან არაფერ სისაძაგლეს და თუ კი სადმე ძალა შესწევთ, მზად არიან ხალხს სული ამოართვან. თუ რომელსამე მათგანს ღვთის წყალობა უთხარით, მაშინვე ედით-მუხლით მოუვა, კანზედ ცეცხლი წაეკიდება და მზად არის შენც შიგ ცეცხლში დაგწვას. თუ ადვილად მოგერია და დაგწიხლა, ხომ კარგი, თუ არა და თვითონ იცის. მას ყოველი სიტყვის უკან ენაზე სულ მუდამ ეს შესანიშნავი ჭეშმარიტ-რუსთა სიტყვები აწერია: „მე მთავრობის კაცი ვარ; გულწრფელად ვემსახურები ჩემ მეფეს და მის სამეფოს“-ო. ითქმით-კი ითქმის, მაგრამ საქმით კი რა კეთდება, ამ უღვთოს თქვენგანმა იცის: ვის ემსახურებიან, მთავრობას, თუ თავიანთ ჯიბეებს?!

სხვა უბედურებასთან ერთად, არც ჩვენი მღვდელი იქცევა ურიგოდ. ამ მღვდელს ეკლესიის კარებიც კი დაავიწყდა, თუმცა იქვე სცხოვრობს. მთელმა ზაფხულმა განვლო და ზარის რეკვა ვერ გავიგეთ. სხვათა შორის [illegible] ამბავი მოხდა [illegible] მცხოვრებს, ერთი [illegible] ზვარა [illegible] დამე ეთიათ ეკლესიისთვის. მიიწვიეს, რასაკვირველია, სახლის კაცობა და მათთან მუთვი სტუმრებიც. დილით დაჭკლეს ზვარა, მიამზადეს ყველაფერი და, რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ვახშამზე მღვდელიც და დიაკვნიც მოეწვიათ, ამის გამო მღვდელთან შეთანხმებით პარაკლისის გადახდა სადამოსთვის გადასდეს. მღვდელი თვით მოადგა მათ კარებზე და უთხრა, მე ეხლა ს. ზერტში მივდივარ, სადამოხანზე დავბრუნდები და მერე, როცა გინდოდეთ, გადაიხდი პარაკლისსაო. ასეც მოხდა. დამისთვლდები მოგროვდნენ. ესე 8-8½ საათი იქნებოდა, რომ მღვდელს კაცი გაუგზავნეს სათხოვნელად. მან გარედ გამოსვლაც-კი არ ისურვა. გამოუვიდა ყოფილი და რისხიანად დაითხოვა ბიჭი: „არა სცალიან და ვერ გამოგიხსენიო“ დამის მთვლელებს, რასაკვირველია, ძალიან ეწყინათ ეს ამბავი, თავიანთ ყურს არ დაუჯერეს და ხელ მეორედ თავიანთი მახლობელი კაცი მიუგზავნეს. გაგზავნილი უკან დაბრუნდა,—მაშინ მესამე წავიდა. არ გასულა ამის შემდეგ ხუთი წამი, სანთლით ხელში ამოვარდა ეკლესიასთან მღვდელი დაიწყო კვირიალი და მუქარა. ჩემი ნებაა და არ ვიხდი პარაკლისსაო. თურმე ნუ იტყვით სულიერი მამა ნასვამი ბრძანდება.

ახლა მარიამობისთვის მარხვაა. ხალხს ეგონა, ეხლა მაინც დაუკრეფს წირვალოცვას და გვეღირსება ეკლესიაში შესვლაო. მაგრამ, თქვენც არ მოგიკვდეთ, არავის უნახამს მღვდელი მოსული. ისე გადის კვირა-უქმე დღეები, რომ ხალხმა არ იცის, როდის არის კვირაძალი?!

**არიფი.**

# სპარსეთი

**მამედ-ალი.** ამბობენ, შაჰად ნამყოფს მამედალის დიდ საპატიო სამხედრო თანამდებობას მისცემენ რუსის ჯარში.

**მდიდარი სპარსელები ფულსა სწირა-**

---

ეხება კაპიტალიზმის თვალთსაზრისით. პრობლემის განხილვაც ამას ჰქვია.

კაპიტალიზმი ერის ეკონომიურ განვითარების მაჩვენებელია, საშუალება ეროვნულ სიმდიდრის შექმნისა განსაზღვრულ ხანაში. იგი ვერც ერსა ჰქმნის, ვერც მის ეროვნულ კულტურასა თავის თავად, მაგრამ სხვა ერებთან შედარებით იგი განსაზღვრულ ერის სიმდიდრესა ჰქმნის, განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს მთელს მის კულტურას. იგი ერის ორგანიული ეკონომიურ განვითარების ნაყოფი უნდა იყოს, რომ ასეთი პროცესი მოახდინოს ერის ცხოვრებაში. ამისთვისაც არის საჭირო, რომ კაპიტალი ეროვნული იყოს, კლასებად დაყოფილი საზოგადოებას ამ ეროვნებისა უნდა იყოს უმეტეს ნაწილად. საჭიროა, სიმდიდრე ეროვნული ეროვნულ ბურჟუაზიის ხელში იყოს, პროლეტართა მისწრაფება განსაზოგადოება ამ ეროვნულ სიმდიდრისა: კაპიტალიზმი ერის შინაგან, ორგანიულ სიცოცხლის ეკონომიური შინაარსი უნდა იყოს განსაზღვრულ ხანაში, და მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ითამაშონ თავიანთი კულტურული როლი როგორც ბურჟუაზიამ, ისე პროლეტარიატმა. ინგლისში რომ ბურჟუაზია ფრანგებისა ყოფილიყო, პროლეტარები კი ინგლისელები, რა იქნებოდა ინგლისის კაპიტალიზმი, მთელი თანამედროვე ცხოვრება ინგლისის ერისა,—ან საფრანგეთში, ან გერმანიაში, ან სხვაგან! ეჭვს გარეშეა, რომ ბურჟუაზია დიდი შემოქმედებითი ძალაა. მან უდიდეს კულტურის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, და იმის და მიხედვით, თუ რომელ ერს ეკუთვნოდა, ეროვნულ კულტურულ შემოქმედებას ეწეოდა. ასე იყო ყველგან, ჩვენში კი ისეთი სასწაული უნდა მოხდეს, რომ სხვამ უნდა შეჰქმნას ჩვენი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება და კულტურული ძალა! საქმე ის კი არ არის, რომ უცხო კაპიტალმა ჩვენში „ხიდეები“ გაიყვანა და სოციალური დიფფერენციაცია მოახდინა, არამედ ის, თუ ვისი იყო ის ეკონომიური ძალა, რომელმაც ისეთი მოქმედება გამოიჩინა. გარდა ამისა, „უცხო კაპიტალს“ არც ისეთი პროცესი მოუხდენია ჩვენში, რომ საქართველო დაეყოს ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, ამ სიტყვათა ნამდვილი მნიშვნელობით. ბურჟუაზიას იგი ჩვენში ვერ აღმოაცენებდა, რადგანაც კაპიტალიზმი უცხო იყო, ე. ი. უცხოთა ხელში იყო მთელი კაპიტალები. პროლეტარიატს კი იმდენად აღმოაცენებდა, რამდენადაც ჩვენში ამ უცხო კაპიტალმა ნახა გაღატაკებული გლეხი, ისიც ისეთი, რომელიც მუშაობის შემდეგ საკუთრებას იძენს და არც კი ფიქრობს სრულს გაპროლეტარებას. რაჟდენიძეს რომ ჰკითხო, პროლეტარიატის აღმოცენება არის ჩვენში უდიდესი მოვლენა, უცხო კაპიტალიზმისაგან გამოწვეული, რადგანაც იგი საფუძველია ერისა, მისი უდიდესი ნაწილი, მისი მომავლის მატარებელი. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ 1901 წელს ინგლისში და უელსში სულ ირიცხებოდა 32,527,843 მცხოვრები და მათგან:

| | | |
|---|---|---|
| პროფესიონალური კლასსები შეადგენენ . . | 172,683 | ადამიანს, |
| მოსამსახურენი. | 1,994,917 | „ |
| სასაჭრო კასსების დაქირავებულნი | 1,858,454 | „ |
| მიწის მეურნეობისა და მეთევზეობისა | 1,152,495 | „ |
| მრეწველობისა | 8,350,176 | „ |
| სულ | 14,328,727 | „ |

თვით ინგლისში, მაშასადამე, ნახევარზე ნაკლები მცხოვრებთა, ერისა, არის დაქირავებული მუშა, აქედან „ნამდვილი პროლეტარი“ არის 8,350,176, რომელიც მრეწველობაშია, და ჩვენში საიდან არის პროლეტარიატი ერის საფუძველი და მისი უდიდესი ნაწილი, ეს ალბად რაჟდენიძის სტატისტიკამ იცის!

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, შეიძლება უცხო კაპიტალიზმის შემოსვლით მოხდეს ეს დიფფერენციაცია და მით გამოიხატოს, რომ გაჩნდეს აუარებელი მუშა ხალხი ქალაქებში, შეიძლება საზოგადო „კულტურით“ სარგებლობდეს ყველა, შეიძლება ამ მხრით უკვე ცოტა პროგრესსიც იყოს (რაიც არასდროს ცუდ არ მიყვება), მაგრამ საერთოდ რომ აიღოთ ეს მოვლენა ერის ცხოვრებისთვის, იგი დამღუპველია ერისა, მისი მოჩვენებული პროგრესსიც წარმავალია, როგორც ნეგრების მიერ ინგლისური ლაპარაკი და ცილინდრი მხოლოდ მოჩვენებული პროგრესია და წარმავალი, დამღუპველი ხალხისა. ეს იმიტომ რომ არც რკინის გზა, არც სიმდიდრე, არც ტეხნიკა, არც ერთობ კაპიტალიზმი ერის ორგანიულ განვითარების ნაყოფი კი არ არის, არამედ სხვისი კუთვნილება, სხვის განვითარების ნაყოფი და სხვის ძლიერების თავმდები. და როდესაც ეს უცხო კაპიტალიზმი შენს ტერრიტორიას თავის საკუთრებად გახდის, როდესაც იგი მაზედ ააგებს თავის ერის სიძლიერეს, თავის ენას გაამეფებს, თავის კულტურულ დაწესებულებებს შეჰქმნის,—და არც შეუძლია არ შეჰქმნას, რადგანაც მას მოგების გარდა თავისი ერიც აინტერესებს, რაც თუ გინდ ორიგინალური არ იყოს ამის შესახებ რაჟდენიძის მეცნიერება,—მაშინ დაინახავთ, რომ სხვა ერის კაპიტალიზმს ჩაუყლაპავს შენი ეროვნება, გამოუცლია ნიადაგი შენ ფეხთაგან, თავისი სოციალური ორგანიზმი შეუქმნია შენს ადგილზე,—და შენი მოჩვენებული პროგრესსიც საპნის ბუშტივით გაქრება, შენი დიფფერენციაციაც მისთვის ყოფილა ხელ-საყრელი, შენ მისი ეკონომიური მონა ყოფილხარ, და თუ სოციალიზმი განხორციელდა, ესეც მისი შემოქმედებით და არა შენითა, რადგანაც, განვიმეორებ, მას პროლეტარიატიც მეტი ჰყავს თავისი და თავისას რჩეულობს, თავისას აძლევს ლუკმა პურს და არა შენსას. ეს მისთვის მოგების მხრითაც სასარგებლოა და ეროვნულადაც და ასეც იქცევა; ვისაც თვალნი ხედვად აქვს, არ შეიძლება არ იხილოს!

ამ საკვირველ მცოდნეს ქართულის ისტორიისა და კულტურისას ისიც კი ჰგონია, რომ უცხო კაპიტალიზმმა შექმნა ქართული ეროვნული ენა—და მერე როგორ? მით რომ კილოკავები გურული და კახური ერთმანეთს მოხვდნენ! მაშ წინად არ არსებულა ქართული ეროვნული ენა, ენა რუსთაველისა და სხვა დიდ მწერალთა? ან იქნებ ახალ ენაზე ლაპარაკობს რაჟდენიძე? იქნებ მასა ჰგონია, რომ ორბელიანების ენას ახალი ესდეკურ-მზარეულური ენა სჯობია? წაიკითხოს მან პოეზია ორბელიანებისა და პროზა მათი (მზე-ჭაბუკ ორბელიანის „ყარამანიანი“ *) და გაიგებს, ვინ არის შემქმნელი ჩვენი ახალ ენისა და რა შუაშია აქ კილოკავები! ან როდის იყო ჩვენში „კაპიტალიზმი“, როდესაც აკაკიმ, ილიამ და სხვა მწერლებმა გააუმჯობესეს ჩვენი ახალი ლიტერატურული ენა! გაიცანით უფრო ესე, და მაშინ ორბელიანების ენა ფეოდალურ ენად კი არ მოგეჩვენებათ, არამედ უმდიდრესს ქართულ ენად, რომელიც სწორედ ახალი ფაზაა ქართულ ენის განვითარებისა და რომელზედაც ახალმა მწერლებმა ააშენეს თავიანთი სტილი, რომლის გაგებაც არა აქვს თანამედროვე კაპიტალიზმის ხანის „მწერალ“ (?) რაჟდენიძეს!

მაგრამ საგანს ავცდით. დავუბრუნდეთ უცხო კაპიტალიზმსა და ჩვენს ეროვნულ საკითხს. როცა სხვისი კაპიტალიზმი შედის რომელიმე ერის ცხოვრებაში, ამ ერის ცხოვრება უსათუოდ იშლება და პირდაპირ ტენდენციას იჩენს ჯერ სრულ უძლურებისას, მერე სრულ გაქრობისას, თუ თვითონაც არ ჩაება ახალ კაპიტალიზმის ვითარებაში და არ შეჰქმნა თავისი საკუთარი კაპიტალიზმი, თავისი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ტერრიტორიის დაკარგვა ერთი დიდი მოვლენაა, მაჩვენებელი ერის დაღუპვისა და უცხო ხალხისგან დაპყრობისა. და ტყუილად ჰგონია რაჟდენიძეს, რომ კაპიტალისტს, ბურჟუაზიას მხოლოდ მოგება და ყვლეფა აინტერესებდეს, და არაფერი ეროვნული საქმე არ არსებობდეს მისთვის. ტყვილა ჰგონია ამ ვაჟბატონს, რომ ბურჟუაზიასა და მშრომელ ხალხს შორის განსაზღვრულ ერში მარტო ყვლეფისა და ძარცვის განწყობილებაა. ტყუილა ჰგონია მას, რომ სომხის ბურჟუაზია მარტო იმასა ჰფიქრობს, რომ რაც შეიძლება იაფი მუშა იშოვნოს და ყვლიფოს, ეროვნული ინტერესები კი ჩირადაც არ მიაჩნია. ასე რომ ყოფილიყო, თავის დღეში ვერც ერთ ყვეყანაში ბურჟუაზია ვერ გამოიჩენდა შემოქმედებას, თავის დღეში მას არ ექნებოდა არავითარი ინტერესი არც სახელმწიფოებრივი, არც ეროვნული. თავის დღეში არ იქნებოდა არც თანამედროვე ძლიერი ინგლისი, არც შეერთებული შტატები, არც გერმანია! ტყუილადა ჰგონია რაჟდენიძეს, რომ ტერრიტორიის საკითხი, ერის თავისუფლება მას არ აინტერესებს. ასე რომ ყოფილიყოს, თავის დღეში საბერძნეთი არ განთავისუფლდებოდა, ბერძნების მდიდრები არ შესწირავდნენ მთელ თავიანთ ქონებას ეროვნულ საქმეს, თავის დღეში პოლონელები ვერ მოახდენდნენ რევოლუციასა, ვერ გაუძლევბოდნენ გერმანიისა და რუსეთის იერიშს, იტალიელები თავს ვერ განთავისუფლებდნენ, სომხებს არ ექნებოდათ ასეთი სოლიდარობა ერთმანეთში, ასეთი კულტურული დაწესებულებანი, ასეთი პრესსა, ასეთი ლიტერატურა და სხვა. არა, ბატონებო, ერის ცხოვრება ისეთი მარტივი და ელანქი არ არის, როგორც ეს ჰგონიათ ტლანქად მოაზრეებს, ანალიზი ერის ცხოვრებისა მარტო „ყვლეფით“ და „ექსპლოატაციით“ არ ამოიწურება, როგორც ბურჟუაზიისა, მისი ინტერესი მარტო ბაზარი, მოგება და ძარცვა არ არის! ერის ცხოვრება ორგანიულია, რთული, მის კულტურულ შემოქმედებაში ბურჟუაზიაც და სხვა კლასებიც იღებენ მონაწილეობას, და მარტო ტაციაობა რომ იყოს მართლა თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობილებანი, სოციალური მოვლენანიც რთულნი და თავის სამტვრევნიც აღარ იქნებოდნენ. მხოლოდ ტლანქ ადამიანსა, გაუნათლებელსა და უხეშს შეუძლიან ასეთი აზროვნება!..

ამიტომაც აქ არც ჩასუქებულ ბურჟუებზე შეიძლება ლაპარაკი, იმიტომ რომ ისინი მუშებსა ყვლეფენ, არც ჰიათურის „პოდრაჩიკებზე“, (!) არც პარკის ვაჭრებზე, არც გურიელებზე და ჭყონიებზე. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რამდენად სასარგებლოა განსაზღვრულ პირობებში ეროვნული ბურჟუაზია, რომელსაც დიდი შემოქმედებითი ძალა აქვს, დიდი სიძლიერე და ერთობ დიდი საშუალება ერის დასაცველად: ტერრიტორიის დაცვა პოლონელებმა ეროვნულ ბანკებით მოახერხეს, და ბურჟუაზია იყო პირველი მომქმედი. დღეს სომხებმა ეროვნული კულტურა ააყვავეს და აქაც მდიდარი სომხის ბურჟუაზია სდგას სათავეში. ასეა სხვაგანაც. ეს უეჭველი ფაქტია, და განვიმეორებ, თუ ჩვენ ვერ შევქმენით ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, სხვა თავის სიმდიდრით თავის ეროვნულ კულტურას ააყვავებს, თავის ერს შეაერთებს, ტერრიტორიასაც უშოვნის და ყველაფერს,—და არა იმ ერისას, რომელსაც ამის უნარი არა აქვს და ტერრიტორიას სხვას უთმობს. ჩვენც სხვისი კულტურით ვისარგებლოთ!—კაი ნუგეშია, თქვენმა მზემ, რკინის გზის ბილეთის ყიდვის შეძლება რომ გქონდეს და ბათუმსა და ბაქოს შუა დადიოდე! ამისი უფლება ყველასა აქვს, მაგრამ ამით ერის წარმატება არავის უნახავს. და აბა შეადარეთ სომხური ლიტერატურა, პრესსა და ერთობ კულტურა ჩვენსას, და ნახავთ, რა პროგრესსი განუხორციელებია ბურჟუაზიულ სომხობას და რა მდგომარეობაშია მეორეს მხრით ჩვენი თეატრი, მწერლობა, ერთობ ხელოვნება და კულტურა.

**B.**

(შემდეგი იქნება)

---

*) აქ, გიცი, რაჟდენიძე „ყარამანიანს“ ჩამათვლევინებს უდიდესს მინაარსიან ნაწარმოებად, მაგრამ მით მხოლოდ თავის უვიცობას დაამტკიცებს!..

**ვენ მთავრობას.**

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ცნობილმა ეინუდ-დოვლემ 100 ათასი თუმანი შესწირა მთავრობას მიმდინარე ხარჯების გასასტუმრებლადო.

ამას გარდა, 60 სხვა სპარსელმა მდიდარმა სპარსელმა გამოუცხადა მთავრობას: ჩვენ თითონ ნებაყოფლობით შევიტანთ ხაზინაში იმ სამ მილიონ მანეთს, რომელსაც დროებითი მეჯლისი გვთხოვსო.

**ბანგის აკრძალვა**

ახალმა მთავრობამ აკრძალა ბანგის ვაჭრობა და მოწევა.

**ახალი სკოლა.**

თეირანში გაიხსნა „პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა". ახალ სკოლაში უკვე დაიწყო მოწაფეების მიღება.

**გაზ. „ხაბლულ-მატინ"-ის რედაქტორის საქმე.**

გაზ. „ხაბლულ-მატინ"-ის რედაქტორს, რომელსაც ბრალდებოდა ვითომდა სარწმუნოების წინააღმდეგ წერილის დაბეჭდვა, გადუწყვიტეს 23 თვით საპატიმროში დატუსაღება, ან არა და 500 მანეთით დაჯარიმება. გაზეთი 22 თვით დაიკეტება.

**ქურდობა.**

აღმოაჩინეს, რომ შაჰის გვირგვინიდან და სხვა ნივთებიდან 3,000-მდე მისხალი თვალ-მარგალიტი მოუპარავთო. ამ დანაკარგს აფასებენ 1,160,000 მანეთად. ამბობენ, რომ ეს განძი კირმან-შირზას წყალობით დაიკარგაო.

**მამედ-ალის ინტრიგები.**

16 აგვისტოს თეირანში დეპეშით ცნობა მიიღეს ზენჯანიდან, რომ იქ მოასწრეს მამედ-ალის მოსამსახურედ ნამყოფს მირენიკარს, რომელიც ზენჯანში მისულიყო მამედ-ალის განსაკუთრებულის მინდობილობით. მირენიკარს თავის მხლებლებით წრე შემოავლეს ჯანხა-ხანის ცხენოსნებმა. ჯანხა-ხანი ჰპირდება მთავრობას მირენიკარს ცოცხალს თუ მკვდარს უთუოდ ჩამოვიყვან თეირანშიო.

თეირანში ჰფიქრობენ, რომ შეიძლება მამედ-ალის მიერ მოწყობილი შეთქმულობა გამოაშკარავდესო.

**სტატისტიკური ცნობები.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა სარდალ-ასადმა დეპეშით მოსთხოვა ყველა გუბერნატორს, დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობები შეკრიბეთ მთელის სპარსეთის მოსახლეობაზეო.

## ოსმალეთის ამბები

**ადანის სასამართლოს განაჩენი.**

სამხედრო-საველე სასამართლომ ადანაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 40 ოსმალოს და 4 სომეხს. სომხის პატრიარქმა ამ განაჩენის შემსუბუქება სთხოვა მთავრობას. დიდი ვეზირი ხილმი-ფაშა დაჰპირდა, გასამართლებულნი სიკვდილით არ დაისჯებიანო.

**ბერძნის პატრიარქის პროტესტი.**

ბერძნის პატრიარქმა პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას: ბერძნებს პროვინციაში მეტად ავიწროვებენო. ამბობენ, ხილმი-ფაშამ უპასუხა: თქვენი საქმე სარწმუნოებაა და არა პოლიტიკაო.

**ბერძნის მიტროპოლიტის დატუსაღება.**

ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა ბერძნების პატრიარქს, რომ ათვალის ბერძნის მიტროპოლიტს 6 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს იმის გულისთვის, რომ იგი ხელს უწყობდა ბერძნების მიერ იარაღის შეტანას მაკედონიაშიო. სამინისტრომ მოსთხოვა ბერძენთა პატრიარქატს,—ეს განაჩენი შეასრულეთო.

**ცირკულიარი რუსეთისა და საფრანგეთის კონსულებისადმი.**

რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა ცირკულიარი გაუგზავნეს თავიანთ კონსულებს ოსმალეთის პროვინციებში. ელჩები ურჩევენ კონსულებს: ოსმალელ მოხელეებს მეგობრულად მოექეცით, ცუდ უბრალოზე დავი-დარაბას ნუ აუტეხთ ხოლმე; ერთის სიტყვით, ისე ნულარ მოიქცევით, როგორც ძველი წეს-წყობილების დროს იქცეოდითო; ნუ გავიწყდებათ, რომ ოსმალეთი კონსტიტუციონური ქვეყანა გახდა და მალე კაპიტულაციის უფლება და საკონსულო სასამართლოები გაუქმდებაო.

**სანდანსკი**

როგორც დეპეშიდან ვიცით, ამ დღეებში სალონიკში ვილაცეები მოსაკლავად დაეცნენ მაკედონელ ბოლგართა ერთი ჯგუფის მეთაურს სანდანსკის.

ოსმალური გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ეს დაცემა მაკედონელ ბოლგართა „შინაგან ორგანიზაციის" ბრალი იქნებაო. ამ ორგანიზაციას მეტად სწყინდა სანდანსკის მოქმედება. სანდანსკი იმ აზრის ადგია, რომ მაკედონელ ბოლგარები უნდა მოურიგდნენ ოსმალეთის ახალ წეს-წყობილების წარმომადგენლობას და მათთან ერთად იმუშავონო; ამიტომ სანდანსკი მეგობრულად ექცეოდა ახალგაზრდა ოსმალებს, მეტადრე აბდულ-ჰამიდის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ; მართლაც და მის გავლენის წყალობით მაკედონელი ბოლგარები ბოლოს დროს მშვიდობიანად იქცეოდნენ და არეულობას აღარ ახდენდნენ. ხოლო ეს დაცემა იმის ნიშანია, რომ ბოლგართა „შინაგანი ორგანიზაცია" თავისას არ იშლის და ეროვნული ბრძოლა მაკედონიაში შეიძლება ხელ-ახლად გამწვავდეს.

ზოგს ეჭვი დაებადა, იქნება სანდანსკის ბოლგარიის მთავრობის აგენტებიც დაეცნენო. ცნობილია, რომ „შინაგან ორგანიზაციას" მჭიდრო კავშირი აქვს ბოლგარიის მთავრობასთან, რომელიც ფულით, თუ სხვაფრივ ბეჯითად ეხმარება ორგანიზაციას და ყოველნაირად ხელს უწყობს არეულობას მაკედონიაში იმ აზრით, რომ ეს პროვინცია ან მისი ნაწილი მაინც ოსმალეთს ჩამოაცალოს და ბოლგარიას შეუერთოს.

სანდანსკიზე დაცემა ძლიერ ეწყინათ ოსმალელ პოლიტიკოსთა და მოღვაწეთა წრეებს. ოსმალური პრესსა თხოულობს, ეს საქმე სასტიკად გამოიძიოს მთავრობამაო.

**არეულობა ალბანიაში.**

ჩრდილოეთ ალბანიაში ხელახლად დაიწყო არეულობა. გაზეთებიდან არა ჩანს ნათლად, რა მიზანი აქვს ალბანელების აჯანყებას. ზოგი ამბობს, ვითომ ისინი ავტონომიას თხოულობენო, ზოგი კი ირწმუნება, რომ ეს წმინდა რეაქციონური მოძრაობაა და ალბანელები ახალ წესებს უჩივიანო. ამბობენ იმასაც, რომ ამმუდმივ არეულობას ხელს უწყობენ გარეშე სახელმწიფოები, ნამეტნავად ავსტრიაო.

ასეა თუ ისე, ოსმალეთის მთავრობამ ბეჯითი ღონისძიება მიიღო ამ აჯანყების დასათრგუნად. გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ს სწერენ უსკუბიდან: აქ მრავალმა ჯარმა გაიარა ჩრდილოეთ ალბანიისკენ; მალე არტილერიაც გაიგზავნება. ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ ძლიერი ჯარი ჯევად-ფაშის მეთაურობით მალე ჩააქრობს აჯანყებას ალბანიაშიო.

ამას გარდა, დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ოსმალეთის საზღვარზე, ალბანელებს შეტაკება მოუვიდათ ჩერნოგორიელებთანაო. ამ ამბავს მაგდენ მნიშვნელობას არ აძლევენ, რადგან შეტაკება და თოფის სროლა ალბანელებსა და ჩერნოგორიელებს შორის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

„რუსკ. ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი 10 აგვისტოს თარიღით სწერს:

„შვეციის რამდენიმე პროვინცია მოვიარე და ყველგან ის შთაბეჭდილება მივიღე, რომ პროვინციელ მუშებს უფრო მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უკიდურესობამდე იბრძოლონ და გაფიცვა ბოლომდე მიიყვანონ, ვიდრე სტოკჰოლმელ მუშებს. პროვინციაში გაფიცვა უფრო სრულია: იქ ნამდვილად ჰგრძნობ, რომ შვეციის ცხოვრება გაჩერებულია და რაღაცა დიდი არაჩვეულებრივი ამბავი ხდება. სტოკჰოლმში, სადაც ბურჟუაზიის მეცადინეობით ედგენილია მოძრაობა ქუჩებში, სადაც ჟურნალისტების მუშაობის წყალობით გაზეთები გამოდის, სადაც, დასასრულ, „ყვითელი" მუშები უფრო მეტნია. გაფიცვას თითქმის დაეკარგა საყოველთაო ხასიათი; სამაგიეროდ პროვინციაში, ურიცხვ ტბებისა და არხების ნაპირებზე, პატარა ქალაქებს ვეხლებსა და სოფლებში, ყველგან შუაგულ შვეციაში სუფევს სიმყარი, მიისხენ სიჩუმე....

სხვა უცხოელ კორესპონდენტებთან ერთად მე ქალ. ესკილსტუნში დავესწარი ერთს დიდებულ მიტინგს, რომელიც დასრულდა დიდებულ დემონსტრაციით. ქალ. ესკილსტუნი მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული სამეურნეო იარაღების წარმოებით თითქმის მთლად დასახლებულია მუშებითა და მათი ოჯახებით; აქაური მუშები მშვენივრად არიან შეკავშირებულნი და დარაზმულნი, აქვთ საკუთარი პარკი, დიდი ბიბლიოთეკა, საკონცერტო დარბაზი, თეატრი და კარგი გაზეთი „ფოლკეტ"-ი („ხალხი"), რომელსაც 12 ათასი ხელის მომწერელი ჰყავს. თუმცა აქაური მუშები კარგ მდგომარეობაში არიან—საშუალოდ ყოველი მათგანი თვეში 100 კრონს შოვობს (კრონი—66 კაპ.), მაინც ესენი სხვა მუშების თანაგრძნობისა და სოლიდარობის ნიშნად, თითქმის ყველანი უკლებლივ გაიფიცნენ.

მიტინგი მეტად დიდებული სანახავი იყო. სახალხო პარკში, ცაცხვებ ქვეშ, გაფრიალებულ ბაირაღებით აუარებელი ხალხი შეიკრიბა, მაგრამ მაინც ისეთი სიჩუმე იდგა, როგორც ეკლესიაში.

ეტყობოდა, რომ ეს ხალხი ერთად მოუყრია დიდს მნიშვნელოვანს საქმეს, რომ მათ გულში ჰქონდათ დიდი და მძიმე დარდი. ნორვეგიელმა კორესპონდენტმა ჰუნტერვოლდმა სიტყვა წარმოსთქვა, ყველა სხვა ორატორივით, იგი უმთავრესად „ფაქტებს" აძლევდა ძალას. მან მოკლედ გაიხსენია ნორვეგიის სოციალურ მოძრაობის ისტორია და აღნიშნა, რომ ეხლა, როცა ნორვეგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, შვეციელსა და ნორვეგიელ მუშებს გულწრფელი მეგობრული განწყობილობა აქვთ ერთმანეთთანო, რომ ნორვეგიამ დამოუკიდებლობა იშოვა შვეციელ ამხანაგების წყალობით, რადგან მათ 1905 წელს თავიანთი „დარაზმული ძალა" დაუყენეს წინ ორსავე ქვეყნის შოვინისტების სურვილს და უარი სთქვეს თავიანთ ნორვეგიელ ძმების წინააღმდეგ ომზეო.

უნდა გენახათ, რა ინტერესით ისმენდა ეს აუარებელი ხალხი ამ ლექციას ცას ქვეშ. წვიმამ დაუშვა, მაგრამ ხალხი როდი დაიშალა: ყველანი მხოლოდ ჩარდახ ქვეშ დადგნენ და ორატორმაც უფრო ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი.

როცა წვიმამ გადიღო, მუშები გამწკრივდნენ, ოთხ-ოთხი კაცი ერთ მწკრივში, და ბაირაღებით და მუსიკით მწყობრად გაემართნენ ქალაქისკენ და პოლიცმეისტერის სახლის წინ გაიარეს. მოედანზე შედგნენ, კიდევ ერთი ორი სიტყვა წარმოსთქვეს, მუშების სიმღერა წარმოსძახეს, კიდევ გაიარეს და ნაშუადღევს სამ საათზე დაიშალნენ. ეს იყო ნამდვილი პროცესია „მშვიდობიან მშრომელ ჯარისა".

## კრიტის საქმე

**ინგლისის პროექტი.**

თუმცა ოსმალეთ-საბერძნეთის დავა კრიტის თაობაზე მორიგებით გათავდა, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ეს დიდი ხნის დავა საბოლოოდ ვერ გადასწყდა, მისი ნამდვილი გადაწყვეტა სახელმწიფოებმა მხოლოდ სხვა დროსთვის გადასდვეს.

პეტერბურგელ დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ ინგლისი ამ მოკლე ხანში შემდეგს პროექტს წარადგენს კრიტის საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტადაო: ოსმალეთმა ხელი უნდა აიღოს უზენაეს უფლებაზე და კრიტი საბერძნეთს უნდა შეუერთდეს. სამაგიეროდ ინგლისი კუნძულ კვიპროსს დაუბრუნებს ოსმალეთს, ხოლო სანუგეშოდ (საბადლოდ) ინგლისი მოითხოვს სუდას ნავთ-სადგურს კუნძულ კრიტზეო.

ამბობენ, რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ამ პროექტს, მხოლოდ იმ პირობით, რომ დარდანელის სრუტე გაიხსნას მის სამხედრო ფლოტისთვისო.

**საბერძნეთის პირველ მინისტრის ნოტა.**

საბერძნეთის ახალმა პირველმა მინისტრმა ნოტით გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ საბერძნეთს მშვიდობიანობა სწადიანო და ჰსურს, რომ კრიტის საქმე სახელმწიფოების შუამავლობით გადასწყდესო.

## რუსეთი

**იარაღით ვაჭრობა.** ამ დღეებში მოსკოვში დაპატიმრეს ერთი კაცი, რომელიც იარაღით საიდუმლოდ ვაჭრობდა. იარაღი უმთავრესად სპარსეთში ეგზავნებათ და რევოლუციის დროს ძალიან დიდი ვაჭრობა ჰქონიათ. იარაღით ვაჭრები ჯერ ტფილისში ყიდულობდნენ, შემდეგ შლიდნენ ნაჭერ-ნაჭერ, აწყობდნენ ყუთებში და სხვა და სხვა საქონლის სახით დანიშნულ ადგილზე ჰგზავნიდნენ. სრულიად შემთხვევით ყურადღება მიუქცევიათ იმ გარემოებისთვის, რომ ბამბეულობის და ფარჩის ყუთები მძიმენი არიან, გაუხსნიათ ერთი ყუთი და შიგ იარაღი უნახავთ. მალე დამნაშავეებიც დაიჭირეს და იარაღით საიდუმლო ვაჭრობა შესწყდა. როდესაც სპარსეთში რევოლუცია გაძლიერდა, იარაღით საიდუმლო ვაჭრობა ისე გაძლიერდა, რომ პოლიცია ვერას ხდებოდა მასთან ბრძოლაში. გაზეთი „რანნეე უტრო" აგვიწერს თუ როგორ გადააჰქონდათ იარაღი, იარაღით საიდუმლო მოვაჭრე მიდის რომელიმე საზაფხულო ბაღში. აქ მას უხვდება იარაღის გადამტანი. ვაჭარი და იარაღის გადამტანი იჭერენ ცალკე სტოლს, იპატიჟებენ „ქალებს" და ფულებს ისე ჰფანტავენ, როგორც კენჭებს. რასაკვირველია ქეიფი გრძელდება, იარაღის გადამტანი არჩევს შესაფერ „ქალს" და უტყდება, ამა და ამ ხელობის კაცი ვარ და ხომ არ დამეხმარებოდით, იარაღის გადატანაზეო. უმეტეს შემთხვევაში „ქალი" სთანხმდება. მეორე დღეს „ქალი" საავარაკოდ სამიწერალო წყლებზე მიდის. მას თან აუარებელი რამ მიაქვს, საკვოიაჟები, ბოღჩები, კალათები და სხვა. ბოღჩებსა, კალათებსა და საკვოიაჟებში დამალულ იარაღის ნაწილები აწყვია. ასე გასინჯეთ ქოლის საკვოიაჟშიაც კი იარაღის წვრილი ნაწილები აწყვია. და ასე ამრიგად იარაღი სხვა და სხვა ადგილას გადააქვთ. ამ წლის მარტში პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ბაქოდან სპარსეთში კასპიის ზღვით მთელი გემი იარაღით დატვირთული მიჰქონდათ. გემის დაპატიმრების შემდეგ პოლიციამ სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა პირები გაჩხრიკა და ბევრი ვაჭრები დააპატიმრა. იარაღით საიდუმლო ვაჭრობა დროებით თითქო შესწყდა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მოსკოვში ჩასულ იარაღით საიდუმლოდ მოვაჭრე ქალაქ შუშის მოქალაქე ცნობილი შუქერ კაზიმოვი იყო. კაზიმოვი ყალბი პასპორტით ჩამომხტარმა ერთ სასტუმროში. ამ სასტუმროში ხშირად კავკასიელები დაიარებოდნენ, რამაც პოლიციის ყურადღება მიიქცია. 6 აგვისტოს პოლიციამ გაჩხრიკა სასტუმრო „ლივერპული" (აქ იდგა კასიმოვი) და ქერბალაი ალესკეროვის ოთახი. გაჩხრეკის დროს ქერბალაი დააპატიმრეს. პოლიციაში ქერბალაის ვინაობა გამოირკვა, იგი კასიმოვი აღმოჩნდა. ქერბალაისთან დააპატიმრეს ვინმე სალიმჩევი, რომელსაც თავის სადგომში უკვე დამზადებინა გასაგზავნად 2,355 პატრონა და რამდენიმე ათი თოფი. ამას გარდა აქვე იპოვეს 7 ბოთლი წამალი. ამ წამალს თოფების ნიშნების წასაშლელად და ლულების შესალესად ხმარობდნენ თურმე. სალიმჩევის შემდეგ გაჩხრიკეს გლეხ კოზარინოვის სახლი. ეს კოზარინოვი ხშირად დადიოდა ხოლმე სალიმჩევთან და კასიმოვთან. კოზარინოვის სახლში პოლიციამ იპოვა 1,800 პატრონა და რამდენიმე თოფი. როგორც სალიმჩევთან, ისე კოზარინოვთან აღმოჩენილი იარაღი არსენალებიდან არის გამოტანილი. (რანნე უტრო).

**ბავშვები და პროსტიტუცია.** პეტერბურგელ ექიმ ბენტოვიჩს პროსტიტუციის შესახებ ცნობები შეუკრებია. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს პეტერბურგში აუარებელი ბავშვი სცხოვრობს პროსტიტუციით. პროსტიტუციას 8 წლიდან მისდევენ თურმე, ექიმს 150 ასეთი ბავშვი უნახავს.


## განცხადებანი

## !უფრო იაფად შეუძლებელ ია!

**2 მანეთად და 75 კაპეიკად**

ვუგზავნი მსურველს მევიოტის ნაჭერს „ტრიუმფს" 4½ არშინს მამაკაცის მთელი კოსტიუმისთვის. ს იაფის მიუხედავად, მატერია „ტრიუმფი" მატყლისაა (და არა ბამბისა) და საუკეთესო მატერიის თვისებებს შეიცავს; მკვიდრია, კარგი სახმარი და კოხტა. ფერები: შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი, მუქი. გაგზავნა 55 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს გამოიწერს, გაგზავნა ჩემი ხარჯით. ადრესი: Фабриканту Зигмунду Розенталь, г. Лодзь, № 178. წერილი რუსულად უნდა დაიწეროს.
(Метцль и К° N 47952) (3—6—1)

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი"**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო"**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში"**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, ფეხზუღებანი ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში; ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტ ერთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—14)

## საოცრად იაფად!

**7 მან. და 25 კაპეიკად-ორიგინ[illegible] ნახევარი 25 უშუალოდ**

საკუთრივ [illegible] ნაჭერი [illegible] (ციმბირით [illegible] უნდა [illegible] 85 კაპიკი). ზარალი და შიში შეუძლებელია: ვისაც არ მოეწონება—იმას ფაბრიკა ფულს დაუბრუნებს. ფაბრიკა კაცის კოსტიუმისთვის გზავნის 4¼ არშ. **„ინგლისურ ტრიკოს"** ხელ ახალ ხარისხს, ძლიერ მკვიდრს, 2 არშინიან სიგანისას, მუქ მატერიას, და 8 არშინს ტრიკოს **„მარიამას"** ქალის სამოსელისთვის ან საზამთრო მკვიდრ და კოხტა კოსტიუმისთვის. ფას-დადებით გამოწერის დროს უნდა გადახდილ იქნას 16 კაპ. ხიფათის მიუხედავად ფაბრიკას მრავალი მადლობა მიუხდის საქონლის სიმკვიდრისა და სიაფისთვის. ადრესი: М. А. Бабушкина, Лодзь N 2. წერილი უნდა დაიწეროს რუსულად ან გერმანულად.
(Метцль и К° N 48251. (3—6.—1)

## რად გინდათ

თქვენ თავს უსიამოვნება მიაყენოთ, ან მეტი ფული გაიღოთ და გამოიწეროთ უნახავად საქონელი, როდესაც შეგიძლიანთ თქვენს გემოვნებაზე აარჩიოთ ჩვენი ფირმის ნიმუშების კოლექციიდან შაგარი და შესაფერი საქონელი მამაკაცთა კოსტიუმებისათვის. კოლექციაში ხხვა და ხხვა ფერისა, ნახატის და ფასის მატერიებია.

**კოლექციები უფასოდ.**

მოითხოვეთ ამ ადრესით: ქ. ლოძი, N 1, მაღვეულოვის ნაწარმოებთა ფაბრიკა **ა. კივმონისა.** (3—ფ.—2)

ტ. მ. ფილოიანის

## საკომერციო ცოდნის კურსებზე

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი ივა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეკადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფ-ს ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—6)

## საბუღალტრო კლასსები

**ი. ფონ ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაძალადევის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამმებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—15)

**ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი**

## საბუხჰალტრო კურსები

## ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელმძღვანელო მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამმები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—7)

**უფლებიანი**

**სავაჭრო სკოლა**

ვაჟებისა და ქალებისათვის

**საბუხჰალტერო კურსები**

მოზრდილ ქალთა და ვაჟთათვის

## ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.

მცდელობანი 20, 24 და 28 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. | მიიღება თხოვნები. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.

ავჭალის ქუჩის თავი, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთარი სახლი, N 13. (2—420—2)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ სახღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—66)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.